ტერიტორიაზე დაშვება საშვის, სწავლების ან/და საფასურის გარეშე

1. კონტროლირებად ტერიტორიაზე საშვის, საფასურის და სპეციალური სწავლების გარეშე დაიშვებიან:

1.1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საგარეო დაზვერვის სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, საბაჟო უწყების, სხვა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ორგანოების ავტოტრანსპორტი და წარმომადგენლები - მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში;
დაშვება ხდება აეროპოტის საავიაციო უშიშროების პროგრამით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.
უშუალოდ ტერიტორიაზე შესვლისას პიროვნებამ უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სამსახურებრივი მოწმობა, ასევე ავტომანქანის ტექპასპორტი და მართვის მოწმობა.

1.2. სახანძრო, სამაშველო, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოტრანსპორტი და წარმომადგენლები - მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი საგანგებო სიტუაციის დროს.
დაშვება ხდება აეროპორტის საავიაციო უშიშროების პროგრამით განსაზღვრული პროცედურების და აეროპორტის საავიაციო უშიშროების კომიტეტის მიერ დამტკიცებული და სააგენტოსთან შეთანხმებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.3. სტიქიური კატასტროფის ან საწარმოო ავარიის დროს -რეაგირების ან შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებში მონაწილე ავტოტრანსპორტი და წარმომადგენლები;

1.4. თვითმფრინავის აფრენის ან დაშვების დროს უბედური შემთხვევის, საჰაერო ხომალდის საგანგებო ვითარებაში დაშვების (რომელიც დაკავშირებულია სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტთან) ან სხვა საავიაციო შემთხვევის დროს - რეაგირების ან შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებში მონაწილე ავტოტრანსპორტი და წარმომადგენლები;

1.5. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს შესაბამის ღონისძიებებში მონაწილე ავტოტრანსპორტი და წარმომადგენლები;

1.6. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები (მათ შორის, ტაბელური იარაღით და სპეციალური ტექნიკური საშუალებებით) - მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

1.7. სხვა პირები თუ ავტოტრანსპორტი - საავიაციო უშიშროების, მართლწესრიგის, უსაფრთხოებისა თუ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საკითხებთან დაკავშირებული გადაუდებელი აუცილებლობის მქონე ქმედებების განხორციელებისათვის.
დაშვება ხდება აეროპორტების გაერთიანების საავიაციო უშიშროების ხელმძღვანელობის ინდივიდუალური გადაწყვეტილებით.

2. კონტროლირებად ტერიტორიაზე საფასურის და სპეციალური სწავლების გარეშე დაიშვებიან შემდეგ ღონისძიებებში მონაწილე პირები და ავტოტრანსპორტი:

2.1. განგრძობითი (არამყისიერი) სამაშველო სამუშაოები;

2.2. ავადმყოფის გადაყვანა საჰაერო ხომალდის ბორტამდე ანდა პირიქით - სამედიცინო პერსონალი, სამედიცინო ავტოტრანსპორტის მძღოლი, არაუმეტეს 2 თანმხლები პირი;

2.3. სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ პატიმრის ეტაპირება - სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები, პატიმარი, პატიმრის გადასაყვანი ავტოტრანსპორტი, არაუმეტეს ერთი გამცილებელი ავტოტრანსპორტი;

2.4. საგამოძიებო, ოპერატიულ-სამძებრო, თავდაცვისუნარიანობის, უსაფრთხოების არა-გადაუდებელი ან გეგმიური ღონისძიებები, განხორციელებული შემდეგი სუბიექტების მიერ:
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- ✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (მასში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების გარდა);
- ✓ საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო;
- ✓ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური;
- ✓ საქართველოს საგარეო დაზვერვის სამსახური;
- ✓ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური;
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი.

3. კონტროლირებად ტერიტორიაზე სამსახურებრივი მიზნებით შესვლისას, საფასურისა და სწავლების გარეშე ასევე დაიშვებიან:

3.1. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და მათი თანმხლები პირები და ავტოტრანსპორტი - არაუმეტეს ერთი ავტომანქანა, მძღოლი და ერთი თანმხლები პირი - ერთჯერადი საშვით;

3.2. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ პარტნიორის - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანამშრომლებიამავე სამინისტროს პროტოკოლის სამსახურის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში;

3.3. დიპლომატიური წარმომადგენლობების (საელჩოები და საკონსულოები) წევრები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, ნაცვალგების პრინციპის გათვალისწინებით, საშვების დამზადების თაობაზე მომართვის შემთხვევაში;

3.4. საქართველოს სახალხო დამცველი და მისი რწმუნებული პირები მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას;

3.5. სსიპ„საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ წარმომადგენლები;

4. მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული შემთხვევების დროს, როგორც პიროვნების, ისე ავტოტრანსპორტის შემთხვევაში, როგორც წესი, გაიცემა მხოლოდ ერთჯერადი ან უკიდურეს შემთხვევაში - 30 დღიანი საშვი. მუდმივი საშვის გაცემის მოთხოვნის შემთხვევაში, პირს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გავლილი შესაბამისი სპეციალური სწავლება.

5. ყველა ზემოთ აღწერილ შემთხვევაში, აღნიშნული პირებისა თუ ავტოტრანსპორტის გადაადგილება კონტროლირებად ტერიტორიაზე უნდა მოხდეს პიროვნების მუდმივი საშვის მფლობელი და სათანადო სწავლება-გავლილი პირის უწყვეტი თანხლებით, გარდა ისეთი გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა მუდმივი საშვია გაცემული ანდა დაშვების მიმღებ პირს თავად აქვს გავლილი სპეციალური სწავლება.

6. საფასურის გარეშე კონტროლირებად ტერიტორიაზე დაიშვებიან:

6.1. შპს ”საქართველოს აეროპორტების გაერთიანების” თანამშრომლები -მათი სამსახურებრივი საჭიროებისამებრ;

6.2. აეროდრომის ექსპლუატანტი (ოპერატორი) და შპს ”საქართველოს აეროპორტების გაერთიანების” კონტრაქტორები, რომლებსაც შპს ”საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან” გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად შპს ”საქართველოს აეროპორტების გაერთიანების” წინაშე ნაკისრი მოვალეობების შესასრულებლად ესაჭიროებათ კონტროლირებად ტერიტორიაზე შესვლა.

7. მე-6 პუნქტში მითითებული პირები ჩვეულებრივ გადიან კონტროლირებად ტერიტორიაზე შესვლისათვის საჭირო შესაბამის სწავლებას, თუმცა განთავისუფლებულნი არიან მისი საფასურისაგან.

8. ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში, ყველა ზემოაღნიშნული პირი თუ ავტოტრანსპორტი კონტროლირებად ტერიტორიაზე შესვლისას ჩვეულებრივ გადიან შემოწმებას.